

ა(ა) იპ „რუსთავის კორპუსი“

ა(ა) იპ „რუსთავის კორპუსი“-ს მიერ, 2018 წელს შესრულებული სარემონტო სამუშაოები:

2018 წლის კაპიტალური ხარჯი შეადგენს 567 000,00 ლარს

2018 წლის 1-ლი იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით, დაიხარჯა სულ: 362 074,09

ლარი.

გადახურვა : 211 510,09 ლარი 13833,5 მ2

წყალ-კანალი: 70 906,25 ლარი 2556 გ/ მ

წყალ-საწრეტი: 19 514, 65 ლარი 840 გ /მ

რკინის კარები : 28 572, 84 ლარი 566,39 მ 2

რკინა-ბეტონის კონსტრუქცია: 2 478, 54 ლარი 8,08 მ2

სადარბაზოს შიდა რემონტი : 10 661, 37 ლარი 426,5 მ 2

სენსორული განათება: 14 130,30 ლარი 170 ც

ფასადის რეაბილიტაცია: 4 300,05 ლარი 680 გ/ მ

მიმდინარე წლიდან, რუსთავის კორპუსში, „ახალი ინიციატივების პროგრამის“ განხორციელება დაიწყო, რაც მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის მხრიდან, პროექტების თანადაფინანსებით განხორციელებას ითვალისწინებს. პროგრამის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კორპუსის გადახურვის, ან სხვა საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი ყიდულობს სამუშაოებისთვის საჭირო მასალებს და გადასცემს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას. მოსახლეობა კი, თავის მხრივ, მიღებული მასალით, სარემონტო სამუშაოებს ასრულებს საკუთარი სახსრებით. ამ პრინციპით მუშაობა, ვფიქრობ, ეფექტური იქნება, რადგან ამ გზით, სამუშაო გაცილებით მოკლე დროში შესრულდება, ვიდრე ეს, სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის გამოსავლენად, სატენდერო პროცედურების გავლის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. შესაბამისად, მოსახლეობის პრობლემაც, უფრო მოკლე ვადაში და ოპერატიულად გადაწყდება.

პროგრამის შესაბამისად, განცხადებების საფუძველზე, პირველ ეტაპზე

მასალების შეძენა - გადაცემა განხორციელდა 17 მისამართზე. საერთო ღირებულებამ შეადგინა 34 093, 74 ლარი ჩათვლით. მთლიანი საპროექტო ღირებულება შეადგენდა 74 500 ლარს.

მომდევნო ეტაპზე, მასალების გადაცემა მოხდება 32 მისამართზე ღირებულებით 64 700, 00 ლარი. მთლიანი საპროექტო ღირებულება შეადგენს 180 459,07 ლარს.

2018 წლიდან, ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსმა“ დანერგა ამხანაგობის თავმჯდომარეების წახალისების განახლებული სისტემა. რაც გულისხმობს, თავმჯდომარეების წახალისების ოდენობის განსაზღვრას, შესრულებული სამუშაოების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. კერძოდ, ყველა კრიტერიუმის შესრულების შემთხვევაში, კორპუსის თავმჯდომარეს ეძლევა კვარტალურად 300 ლარი, კრიტერიუმების

ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, კი 200 ლარი, ხოლო მათი არშესრულების შემთხვევაში, წახალისება არ გაიცემა. აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს თავმჯდომარეების სტიმულირებას და შრომის ეფექტურობის

ამაღლებას. გარდა ამისა, დაჩქარდება იმ კატეგორიის ამხანაგობების იდენტიფიცირება, სადაც აუცილებელი იქნება მმართველობითი გადანაცვეტილებების მიღება.